

დამტკიცებულია

შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს  
დირექტორი  
ჯიმშერ ფოფხაძე

შეთანხმებულია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი  
შეფასების დეპარტამენტი

" \_\_\_\_ " \_\_\_\_ 2023 წ.

" \_\_\_\_ " \_\_\_\_ 2023 წ.

შპს „სტანდარტ ცემენტი“

ცემენტის საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა  
ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი

შემსრულებელი:

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მაგლობლიშვილი

თბილისი 2023

### ა ნ ო ტ ა ც ი ა

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად [1, 2, 3, 4, 5] და მასში სისტემატიზებულია შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს ცემენტის საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. გამოკვლევის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 23 სტაციონარული წყარო. ინვენტარიზაციის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა 15.91493 ტ/წელ. დამაბინძურებელი ნივთიერებები.

პროექტში განხილულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაანგარიშებათა ჩატარებისათვის საჭირო საწყისი ინფორმაცია საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

**სარჩევი**

1 ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ.....6

2 საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება .....7

3 საწარმოს საქმიანობის პროცესის მოკლე დახასიათება.....8

4 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება ..... 11

5 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში .....11

5.1 ემისიის გაანგარიშება ცემენტის წისქვილიდან (გ-1).....11

5.2 ემისიის გაანგარიშება წისქვილის მიმღები ბუნკერიდან (გ-2) .....12

5.3 ემისიის გაანგარიშება წისქვილი ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-3) .....13

5.4 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (დანამატი) საწყობიდან (გ-4) .....14

5.5 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (კლინკერი) საწყობიდან (გ-5) .....17

5.6 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (თაბაშირი) საწყობიდან (გ-6).....19

5.7 ემისიის გაანგარიშება თაბაშირის სამსხვრევიდან (გ-7).....22

5.7.1 ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან 22

5.7.2 ემისიის გაანგარიშება სამსხვრევიდან 23

5.7.3 ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან 23

5.8 ემისიის გაანგარიშება წისქვილიდან სილოსში ცემენტის ჩატვირთვისას (გ-8) .....24

5.9 ემისიის გაანგარიშება სილოსიდან ცემენტის ცემენტში ჩატვირთვისას (გ-9).....25

5.10 ემისიის გაანგარიშება ტომრების შემფუთავ სილოსში ცემენტის ჩატვირთვისას (გ-10).....26

5.11 ემისიის გაანგარიშება სილოსიდან ცემენტის ტომრებში დაფასობისას (გ-11) .....26

5.12 ემისიის გაანგარიშება სარეზერვო ცემენტის წისქვილის ბუნკერიდან (გ-12).....28

5.13 ემისიის გაანგარიშება სარეზერვო ცემენტის წისქვილის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-13) .....29

5.14 ემისიის გაანგარიშება სარეზერვო ცემენტის წისქვილიდან (გ-14) .....30

5.15 ემისიის გაანგარიშება სარეზერვო სილოსში ცემენტის ჩატვირთვისას (გ-15).....30

5.16 ემისიის გაანგარიშება ღორღის საწყობიდან (გ-16).....30

5.17 ემისიის გაანგარიშება ღორღის სამსხვრევიდან (გ-17).....33

5.17.1. ემისიის გაანგარიშება მიმღები ბუნკერიდან.....33

5.17.2. ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორებიდან .....34

5.17.3. ემისიის გაანგარიშება პირველადი მსხვრევისას (109), მეორადი მსხვრევისას, და ორი საცერი დანადგარიდან .....35

5.18 ემისიის გაანგარიშება ღორღის საწყობიდან (გ-18).....37

5.19 ემისიის გაანგარიშება ღორღის საწყობი (გ-19).....40

5.20 ემისიის გაანგარიშება ბლოკის საამქროს სილოსში ცემენტის ჩატვირთვისას (გ-20).....43

5.21 ემისიის გაანგარიშება ბლოკის საამქროს ბეტონშემრევის მიმღები ბუნკერიდან (გ-21) .....43

5.22 ემისიის გაანგარიშება ღორღის საწყობიდან (გ-22).....44

5.23 ემისიის გაანგარიშება მექანიკური საამქროდან (გ-23) .....47

6 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები .....52

7 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....57

8 მავნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ამონაბეჭდი .....58

9 შემაჯამებელ ცხრილში მოცემულია საკონტროლო წერტილებიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-წილებში ორივე ვარიანტისთვის .....63

10	დასკვნა .....	63
11	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები .....	63
12	ლიტერატურა .....	65
13	დანართი 1. საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა .....	67
14	დანართი 2. საწარმოს სიტუაციური გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით.....	68
15	დანართი 3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი .....	69

**ძირითად ტერმინთა განმარტებები**

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მაკნე ნივთიერება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება" - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მაკნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;
- დ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მაკნე ზემოქმედებას;
- ე) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;
- ვ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;
- ზ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მაკნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მაკნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს,

## 1 ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს ცემენტის საწარმო მდებარეობს ქალაქ რუსთავში მშვიდობის ქუჩა №6-ში, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთის საერთო ფართობი: 14105 მ<sup>2</sup>, საკადასტრო კოდია 02.05.03.646.

აღნიშნული ტერიტორია შემოღობილია სამშენებლო აგურის ღობით. ირგვლივ მდებარეობს ძირითადად საწარმოო ობიექტები და მათ დაქვემდებარებაში არსებული შენობა-ნაგებობები.

შენობიდან უახლოესი საცხოვრებელი დასახლება, დაშორებულია დაახლოებით 380 მ.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

### ცხრილი 1.1.

<b>ობიექტის დასახელება</b>	შპს „სტანდარტ ცემენტი“
<b>ობიექტის მისამართი:</b>	
ფაქტიური	ქ. რუსთავი მშვიდობის ქ.№6ა
იურიდიული	ქ. რუსთავი მშვიდობის ქ.№6ა
საიდენტიფიკაციო კოდი	X 502272.89 m E; Y 4600195.77 m N
GPS კოორდინატები	416339607
<b>ობიექტის ხელმძღვანელი:</b>	
გვარი, სახელი	კახა მეხრიშვილი
ტელეფონი	+995 599 555943
ელ-ფოსტა	Didostati_888@mail.ru
<b>მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე</b>	380 მ.
<b>ეკონომიკური საქმიანობის სახე</b>	სამშენებლო მასალის წარმოება
<b>გამომშვებელი პროდუქციის სახეობა</b>	სამშენებლო ცემენტი და ბლოკი
<b>საპროექტო წარმადობა</b>	160 000 ტ/წელ ცემენტი, 900 000 ც/წელ სამშენებლო ბლოკი
<b>ნედლეულის სახეობა და ხარჯი</b>	კლინკერი 128 000 ტ/წელ დანამტი 24 000 ტ/წელ. თაბაშირი 8000 ტ/წელ. ღორდი 30 000 ტ/წელ.
<b>საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)</b>	-
<b>სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში</b>	286
<b>სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში</b>	20

**2 საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება**

საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება მიღებულია [6] -ს შესაბამისად და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილების სახით.

**ცხრილი 2.1. პუნქტის კოორდინატები, ბარომეტრული წნევა**

№	პუნქტის დასახელება	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ბარომეტრული წნევა (კპა)
1	რუსთავი	41°33'	45°01'	332	970

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით რუსთავი განეკუთვნება III გ ქვერაიონს.

**ცხრილი 2.2. ჰაერის ტემპერატურა (თვის და წლის საშუალო)**

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
0,8	2,6	6,6	11,9	17,5	21,6	25,0	25,0	20,3	14,4	7,7	2,6	13,0

**ცხრილი 2.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)**

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
74	70	68	63	63	58	55	54	62	69	77	77	66

**ცხრილი 2.4. ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)**

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
რუსთავი	382	123

თოვლიან დღეთა რიცხვი წელიწადში : 12

**ცხრილი 2.5. ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი**

ჩრდ,	ჩრდ,აღმ,	აღმ,	სამხ,აღმ,	სამხ,	სამხ,დას,	დას,	ჩრდ,დას,
25	29	31	32	33	10/7	4/3	4/9

**ცხრილი 2.6. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე (მ/წმ)**

იანვარი	ივლისი
5,8/1,7	8,2/3,5

**მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს**

№	მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
2	ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
3	წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	31,4
4	წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	0,7
5	ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	შტილი-18
	_ ჩრდილოეთი	8
	_ ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
	_ აღმოსავლეთი	7
	_ სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
	_ სამხრეთი	10
	_ სამხრეთ-დასავლეთი	3
	_ დასავლეთი	7
_ ჩრდილო-დასავლეთი	49	
6	ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს,	13

### 3 საწარმოს საქმიანობის პროცესის მოკლე დახასიათება

საწარმოში იწარმოება სამი მარკის ცემენტი ესენია:

პორტლანდცემენტი - MC 22.5 (მარკა „300“)

EN 197-1 I CEM II 32.5 ევროპული სტანდარტი (მარკა „400“)

EN 197 –1 I CEM II 42.5 R (მარკა „500“)

საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეული (კლინკერი, თაბაშირი და დანამტი) შემოიზიდება თვითმცლელებით და საწყობდება ტერიტორიაზე. თაბაშირისთვის ტერიტორიაზე განთავსებულია მცირე ზომის სამსხვრევი 1ტ/სთ წარმადობით. წისქვილი აღჭურვილია ნედლეულის სამი მიმღები ბუნკერით, საიდანაც დოზატორების მეშვეობით ხდება საჭირო მასალის მიწოდება წისქვილისთვის ლენტური ტრანსპორტიორებით. წისქვილის ფაქტიური წარმადობაა 28 ტ/სთ. წლიურად საწარმო აწარმოებს 160 000 ტონა ცემენტს. წისქვილი განთავსებულია დახურულ (სენდვიჩ-პანელური ტიპის) შენობაში.

წისქვილი აღჭურვილია მაღალეფექტური სამგანყოფილებიანი გრიგალური ტიპის სეპარატორი T-Sepax-ით.

ტექნიკური მახასიათებლები:

- დამუშავების შედეგად მიიღება: მსხვილმარცვლოვანი ფხვნილი ( $d > 150$  მკმ), საშუალომარცვლოვანი ფხვნილი ( $60$  მკმ  $< d < 150$  მკმ) და წვრილი ფხვნილი. მსხვილმარცვლოვანი ფხვნილი ბრუნდება საწყობში, საშუალო - წისქვილის ბუნკერში, ხოლო წვრილდისპერსიული ფხვნილი წარმოადგენს უკვე მზა პროდუქციას.
- სხვა ტიპის სეპარატორებთან შედარებით, სამგანყოფილებიან სეპარატორს T-Sepax გააჩნია ბევრად უფრო მაღალი წარმადობა, რაც აუცილებელია დიდი წარმოებისათვის. გაუმჯობესებული და „ჭკვიანი“ სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს შეიცვალოს ჰაერის მოცულობა და ნაკადი, საწყისი მასალის მოცულობა, რაც გავლენას არ ახდენს ეფექტურობაზე, ხოლო კლასიფიკაციის მახასიათებლები ძალიან სტაბილურია.
- დანადგარს გააჩნია ფრაქციის რეგულაციის ფართო დიაპაზონი.
- დანადგარის დეტალები დამზადებული ცვეთამედეგი მასალებისაგან ან დამუშავებულია ცვეთამედეგი ტექნოლოგიების საშუალებით.
- დანადგარის ახალ კონსტრუქციაში გადაწყვეტილია ორი ძირითადი პრობლემა, რომელიც საკისარის მტვერთან და ზეთის გაჟონვასთან იყო დაკავშირებული.
- დანადგარი აღჭურვილია ორმაგი საჰაერო ჩამკეტი ფილტრებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემიდან ჰაერის გაჟონვის და მტვერის გავრცელების შესაძლებლობას.

წისქვილზე ასევე დამონტაჟებულია YQM-ის სერიის მტვერდამკერი სახელოიანი ფილტრები იგი აღჭურვილია პროგრამული მართვის იმპულსური შეფრქვევის სისტემით. აღნიშნული ფილტრი ხასიათდება მაღალი ეფექტურობით და ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლით.





აირმტვერნარევი აირშემშვების გავლით შედის სეპარატორში (ციკლონში), საიდანაც გადადის სახელოებიან ფილტრში. მტვერი ეკრობა სახელოიანი ფილტრის ზედაპირს, ხოლო გაწმენდილი ჰაერი გაიფრქვევა ატმოსფეროში აირგამშვები მილის საშუალებით.

პერიოდულად, როდესაც ფილტრის სახელო ივსება მტვრით, აუცილებელია მათი გაწმენდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მტვერდამჭერის ეფექტურად მუშაობა. ფილტრის გაწმენდა ხდება შეკუმშული ჰაერის შებერვით. შეკუმშული ჰაერის ნაკადის მართვის მიზნით, თითოეული ფილტრი აღჭურვილია პროგრამული მართვის იმპულსური შეფრქვევის სისტემით.

ფილტრის ავსებისთანავე, პროგრამული მართვის იმპულსური შეფრქვევის სისტემის საშუალებით ხდება შეკუმშული ჰაერის მიწოდება 0.5-0.7 მპა წნევით. შეკუმშული ჰაერის ნაკადი სახელოიან ფილტრში შედის მაღალი სიჩქარით, შეფრქვევის მილის გავლით. შეკუმშული ჰაერის სახელოიან ფილტრში შესვლისთანავე წარმოიქმნება ერთგვარი დარტყმითი ტალღა, რომლის ზემოქმედებით ფილტრის სახელოებში დაგროვილი მტვერი იყრება ქვემოთ არსებულ ბუნკერში.

მთავარი კომპონენტები: YQM-ის სერიის მტვერდამჭერი სახელოიანი ფილტრის მთავარი კომპონენტებია: კორპუსი, შესასვლელი კარი, სახელოები, ჰაერშემბერი, შეკუმშული ჰაერის შემშვები სისტემა, ბუნკერი და ა.შ. ფილტრის კორპუსი წარმოადგენს შედუღებულ სტრუქტურას.

### ფილტრის ტექნიკური პარამეტრები

აირმტვერნარევის მოცულობა - 40100 მ<sup>3</sup>/სთ

მილის სიმაღლე 14 მ.

დიამეტრი 0,5 მ.

წისქვილიდან ცემენტი პნევმო-ტრანსპორტით გადაიტვირთება სილოსებში:

- 2 სილოსი 240 მ<sup>3</sup>. სილოსებში მოხდება ცემენტის ჩატვირთვა მისი შემდგომი ნაყარი სახით რეალიზაციისთვის. ცემენტის ჩატვირთვისას წარმადობა შეადგენს 28 ტ/სთ. წლიურად 112 000 ტ. სილოსები აღჭურვილია სახელოიანი ფილტრით 99,9% ეფექტურობით. გამფრქვევი მილის სიმაღლე 8,3 მ. დიამეტრი 0,4 მ. რეალიზაციისას ცემენტი ცემენტმზიდში ჩაიტვირთება ჩამტვირთვი სახელოს გამოყენებით.
- 4 სილოსი მოცულობა 60 მ<sup>3</sup>. სილოსებში მოხდება ცემენტის ჩატვირთვა მისი შემდგომი ნაყარი სახით რეალიზაციისთვის. სილოსები აღჭურვილია სახელოიანი ფილტრით 99,9% ეფექტურობით. გამფრქვევი მილის სიმაღლე 8,3 მ. დიამეტრი 0,4 მ. რეალიზაციისას ცემენტი ცემენტმზიდში ჩაიტვირთება ჩამტვირთვი სახელოს გამოყენებით.


- 4 სილოსი მოცულობა 60 მ<sup>3</sup>. სილოსებში მოხდება ცემენტის ჩატვირთვა მისი შემდგომი ტომრებში დაფასოებისთვის. ცემენტის ჩატვირთვისას წარმადობა შეადგენს 28 ტ/სთ. წლიურად 48000 ტ. სილოსები აღჭურვილია სახელოიანი ფილტრით 99,9% ეფექტურობით. გამფრქვევი მილის სიმაღლე 8,3 მ. დიამეტრი 0,4 მ. ტომრებში შეფუთვისას ცემენტის ტომრებში ჩატვირთვა ხდება ჩამტვირთვი სახელოს გამოყენებით. ცემენტი ფასოვდება 25, 40 და 50 კგ-იან ტომრებში. წელიწადში ტომრებში იფუთება 48000 ტ. ცემენტი
- 4 სილოსი 60 მ<sup>3</sup>. მოცულობის სილოსი სარეზერვოა, სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა მოხდება სარეზერვო წისქვილის მუშაობის შემთხვევაში.
- 1 სილოსი 15 მ<sup>3</sup> მოცულობის სილოსი განთავსებულია სამშენებლო ბლოკის საამქროსთან. აღჭურვილია სახელოიანი ფილტრით 99,9% ეფექტურობით ჩატვირთვისას გამფრქვევი მილის სიმაღლე 8,3 მ. დიამეტრი 0,4 მ.

ტერიტორიაზე განთავსებულია სარეზერვო წისქვილი, რომელიც იმუშავებს მხოლოდ 28 ტ/სთ წისქვილზე სარემონტო ან ტექნიკური სამუშაოების ჩატარების დროს. წისქვილის წარმადობა 5,5 ტ/სთ. მუშაობის მაქსიმალური დრო 1200 სთ/წელ. წისქვილზე დამონტაჟებულია ორდონიანი გამწმენდი სისტემა, ციკლონი გაწმენდის ეფექტურობა 80% და სახელოებიანი ფილტრი გაწმენდის ეფექტურობა 99.9%. მილის სიმაღლე 8,3 მ. მილის დიამეტრი 0,4 მ. აირმტვერნარევის მოცულობა 5060 მ<sup>3</sup>/სთ.

**საწარმოს ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია:**

- სამსხვრევი კომპლექსი (პირველადი და მეორადი მსხვრევა) წარმადობა 20 ტ/სთ წლიურად იმსხვრევა 30000 ტ. ხრეში. იხ. ნახაზი 3.1.

**ნახაზი 3.1.** სამსხვრევის ტექნოლოგიური სქემა



1 ბუნკერი, 2 საცერი, 3 სამსხვრევი 109 პირველადი მსხვრევა, 4 ლენტური ტრანსპორტიორი, 5 ლენტური ტრანსპორტიორი. 6 სამსხვრევი მეორადი მსხვრევა. 7 ლენტური ტრანსპორტიორი, 8 საცერი, 9 ლენტური ტრანსპორტიორი, 10 ლენტური ტრანსპორტიორი, 11 ღორღის საწყობი მსხვილი ფრაქცია, 12 ღორღის საწყობი წვრილი ფრაქცია.

- სამშენებლო ბლოკის საამქრო, წლიურად იწარმოება 900 000 ც. სამშენებლო ბლოკი.
- მექანიკური საამქრო, საშემდუღებლო სამუშაოებისთვის.

**4 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება**

ცემენტის საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5] მოცემულია ცხრილში

4.1. მავნე ნივთიერებათ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5]-ის შესაბამისად წარმოდგენილია ცხრილში 4.1.

**ცხრილი 4.1.**

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ <sup>3</sup>		მავნეობის საშიშროების კლასი
კოდი	დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
0123	რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი) (რკინაზე გადაანგარიშებით)	-	0,04	3
0143	მანგანუმი და მისი ნაერთები (მანგანუმის (IV) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0,01	0,001	2
0301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,2	0,04	3
0304	აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი)	0,4	0,06	3
0337	ნახშირბადის ოქსიდი	5	3	4
0342	აირადი ფტორიდები	0,02	0,005	2
0344	სუსტად ხსნადი ფტორიდები	0,2	0,03	2
2902	შეწონილი ნაწილაკები	0,5	0,15	3
2908	არაორგანული მტვერი: 70-20% SiO <sub>2</sub>	0,3	0,1	3

**5 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435, კანონმდებლობის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით,

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

**5.1 ემისიის გაანგარიშება ცემენტის წისქვილიდან (გ-1)**

საწარმო გეგმავს წლიურად 160 000 ტ. ცემენტის წარმოებას.

წისქვილის ფაქტიური წარმადობაა 28 ტ/სთ.

მუშაობის დრო 160 000 ტ. ÷ 28 ტ/სთ = 5714.3 სთ/წელ.

წისქვილზე დამონტაჟებული სახელოებიანი ფილტრის საპასპორტო მონაცემები.

წარმადობა	40100 მ <sup>3</sup> /სთ. / 11.139 მ <sup>3</sup> /წმ
კონცენტრაცია ფილტრის შესასვლელზე	1300 მგ/მ <sup>3</sup>
კონცენტრაცია გამოსასვლელზე	50 მგ/მ <sup>3</sup>
ტემპერატურა ფილტრის შესასვლელზე	≤120°C

გამოყოფა წყაროდან იქნება:

$$1300 \text{ მგ/მ}^3 \times 11.139 \text{ მ}^3/\text{წმ} = 14.481 \text{ გ/წმ.}$$

$$14.481 \text{ გ/წმ} \times 10^{-6} \times 5714.3 \times 3600 = 297.889 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევა წყაროდან იქნება:**

$$50 \text{ მგ/მ}^3 \times 11.139 \text{ მ}^3/\text{წმ} \div 1000 = 0.557 \text{ გ/წმ.}$$

$$0.557 \text{ გ/წმ} \times 10^{-6} \times 5714.3 \times 3600 = 11.457 \text{ ტ/წელ.}$$

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია,	წლიური ემისია,
კოდი	დასახელება	გ/წმ	ტ/წელ
2908	არაორგანული მტვერი(70-20% SiO <sub>2</sub> )	0.557	11.457

**5.2 ემისიის გაანგარიშება წისქვილის მიმღები ბუნკერიდან (გ-2)**

წარმადობა 28 ტ/სთ. მუშაობის დრო 5714.3 სთ/წელ.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი დახურულია ოთხივე მხრიდან.(K<sub>4</sub> =0,005). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. (B = 0,5) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10ტ-ზე ნაკლები ოდენობით (K<sub>9</sub> =0,2). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 (K<sub>3</sub> = 1); 12,3 (K<sub>3</sub> = 2,3). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 0,5 (K<sub>3</sub> = 1).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.2.1.

**ცხრილი 5.2.1.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია,	წლიური ემისია,
კოდი	დასახელება	გ/წმ	ტ/წელ
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0003578	0.0032

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.2.2

**ცხრილი 5.2.2.**

მასალა	პარამეტრი
კაზმი	გადატვირთული მასალის რ-ბა: G <sub>გ</sub> = 28 ტ/სთ; G <sub>წლ</sub> = 160000 ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: K <sub>1</sub> = 0,04. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: K <sub>2</sub> = 0,02. ტენიანობა 10%-მდე (K <sub>5</sub> = 0,1). მასალის ზომები 50-10 მმ (K <sub>7</sub> = 0,5).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_g \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

**K<sub>1</sub>** -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

**K<sub>2</sub>** - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

**K<sub>3</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

**K<sub>4</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

**K<sub>5</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;  
 $K_8$  - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას  $K_8 = 1$ ;  
 $K_9$  - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.  
 $B$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;  
 $G_r$  - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{roa}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $G_{roa}$  - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;  
 ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**კაზმი**

$$M_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 0,005 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,2 \cdot 0,5 \cdot 28 \cdot 10^6 / 3600 = 0,0001556 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 2,3 \cdot 0,005 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,2 \cdot 0,5 \cdot 28 \cdot 10^6 / 3600 = 0,0003578 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 0,005 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,2 \cdot 0,5 \cdot 160000 = 0,0032 \text{ ტ/წელ}.$$

**5.3 ემისიის გაანგარიშება წისქვილი ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-3)**

მუშაობის დრო 5714.3 სთ/წელ. ლენტური ტრანსპორტიორების სიგრძე ჯამში 26 მ.

სიგანე 0.8 მ.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

ტრანსპორტირება ხორციელდება ღია კონვეიერული ლენტების საშუალებით, სიგანით-0,8მ. საერთო სიგრძე შეადგენს 26 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეები შეადგენს, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ); 12,3 მ/წმ: ( $K_3 = 2,3$ ). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 0,5 მ/წმ: ( $K_3 = 1$ ).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.3.1

**ცხრილი 5.3.1** დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0107995	0.0965919

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია 5.3.2

**ცხრილი 5.3.2**

მასალა	პარამეტრები
კაზმი	მუშაობის დრო-5714,3 სთ/წელ; ტენიანობა 10%-მდე. ( $K_5 = 0,1$ ). ნაწილაკების ზომა-50-10 მმ. ( $K_7 = 0,5$ ). კუთრი ამტვერება- 0,0000045 კგ/მ <sup>2</sup> *წმ.

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეიერიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = 3,6 \cdot K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot I \cdot \gamma \cdot T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_k$  - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ<sup>2</sup>\*წმ;

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$T$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$T$  - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისიარომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეიერიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M'_k = K_3 \cdot K_5 \cdot W_k \cdot L \cdot T \cdot \gamma \cdot 10^3, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**ჯამში**

$$M'_{2902} 0.5 \text{ მ/წმ} = 1 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 26 \cdot 0,8 \cdot 0,5 \cdot 10^3 = 0,0046954 \text{ გ/წმ};$$

$$M'_{2902} 12,3 \text{ მ/წმ} = 2,3 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 26 \cdot 0,8 \cdot 0,5 \cdot 10^3 = 0,0107995 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902} = 3,6 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,0000045 \cdot 26 \cdot 0,8 \cdot 0,5 \cdot 5714,3 = 0,0965919 \text{ ტ/წელ}.$$

**5.4 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (დანამატი) საწყობიდან (გ-4)**

წიდა, ბაზალტი, ღორღი ჯამში 24000 ტ/წელ. შემოდის ტერიტორიაზე ავტოთვითმცლელით და საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ გადახურულ საწყობში.

**ემისიის გაანგარიშება დაყრისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღიაა ოთხივე მხრიდან.( $K_4 = 1$ ). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. ( $B = 0,5$ ) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10ტ-ზე მეტი ოდენობით ( $K_9 = 0,1$ ). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ); 12,3 ( $K_3 = 2,3$ ). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.4.1.

**ცხრილი 5.4.1.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0053667	0.048

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.4.2

**ცხრილი 5.4.2.**

მასალა	პარამეტრი
წიდა, ბაზალტი, ღორღი	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_4 = 4.2$ ტ/სთ; $G_{წლ} = 24000$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0,04$ . მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0,02$ . ტენიანობა 10%-მდე ( $K_5 = 0,1$ ). მასალის ზომები 50-10 მმ ( $K_7 = 0,5$ ).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_4 \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_1$  -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

$K_2$  - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$K_8$  - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას  $K_8 = 1$ ;

$K_9$  - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოვლისას ავტოთვითმცლელიდან.

$B$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

$G_{\text{ვ}}$  - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$\Pi_{\text{TP}} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{ვოქ}}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $G_{\text{ვოქ}}$  - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**წიდა, ბაზალტი, ღორღი**

$$M_{2902}^{0,5 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 4,2 \cdot 10^6 / 3600 = 0,0023333 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902}^{12,3 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 2,3 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 4,2 \cdot 10^6 / 3600 = 0,0053667 \text{ გ/წმ};$$

$$\Pi_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 24000 = 0,048 \text{ ტ/წელ}.$$

**ემისიის გაანგარიშება შენახვისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.4.3

**ცხრილი 5.4.3.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია,	წლიური ემისია,
კოდი	დასახელება	გ/წმ	ტ/წელ
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0200602	0.0000312

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{\text{XP}} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{\text{pაბ}} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{\text{წლ}} - F_{\text{pაბ}}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_6$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$F_{\text{pაბ}}$  - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ<sup>2</sup>

$F_{\text{წლ}}$  - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ<sup>2</sup>;

$q$  - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$\eta$  - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტი  $K_6$  -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{\text{მაკს}} / F_{\text{წლ}}$$

სადაც,

$F_{maxc}$  - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, მ<sup>2</sup>;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b$ , გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

სადაც,

$a$  და  $b$  – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;  $U$  - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$II_{XP} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{max} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_A - T_c)$$
 ტ/წელ;

სადაც,

$T$  – იმასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

$T_A$  - წვიმიან დღეთა რიცხვი;

$T_c$  - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.4.4.

**ცხრილი 5.4.4**

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: წიდა, ბაზალტი, ღორღი ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	$a = 0,0135$ $b = 2,987$
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$
მასალის ტენიანობა 10%-მდე	$K_5 = 0,1$
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	$K_6 = 150 / 100 = 1,5$
მასალის ზომები – 10-50 მმ	$K_7 = 0,5$
ქარის საანგარიშო სიჩქარეები,მ/წმ	$U' = 0,5; 12,3$
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე,მ/წმ	$U = 0,5$
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ <sup>2</sup>	$F_{pa6} = 0$
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{nl} = 100$
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{maxc} = 150$
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	$T = 366$
წვიმიან დღეთა რიცხვი	$T_A = 97$
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	$T_c = 12$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**წიდა, ბაზალტი, ღორღი**

$q_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2.987} = 0,0000017$  გ/(მ<sup>2</sup>.წმ);

$M_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 0 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0000017 \cdot (100 - 0) = 0,0000014$  გ/წმ;

$q_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 12,3^{2.987} = 0,0243153$  გ/(მ<sup>2</sup>.წმ);

$M_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0243153 \cdot 0 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0243153 \cdot (100 - 0) = 0,0200602$  გ/წმ;

$q_{2902} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2.987} = 0,0000017$  გ/(მ<sup>2</sup>.წმ);

$II_{2902} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 100 \cdot (366 - 97 - 12) = 0,0000312$  ტ/წელ.

მავნე ნივთიერებათა		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ.	
კოდი	დასახელება			
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0053667	0.0480000	დაყრა
		0.0200602	0.0000312	შენახვა
		0.0254269	0.0480312	ჯამი



**5.5 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (კლინკერი) საწყობიდან (გ-5)**

128 000 ტ/წელ. შემოდის ტერიტორიაზე ავტოთვიტმცლელით და საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ გადახურულ საწყობში. ფრაქცია 5-40 მმ-მდე

**ემისიის გაანგარიშება დაყრისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღიაა ოთხივე მხრიდან.(K4 =1). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. (B = 0,5) ზალპური ჩამოცლა ავტოთვიტმცლელიდან ხორციელდება 10ტ. და მეტი ოდენობით (K9 =0,1). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 (K3 = 1); 12,3 (K3 = 2,3). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 0,5 (K3 = 1).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.5.1.

**ცხრილი 5.5.1.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0286222	0.256

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.5.2

**ცხრილი 5.5.2.**

მასალა	პარამეტრი
კლინკერი	გადატვირთული მასალის რ-ბა: G <sub>წ</sub> = 22,4 ტ/სთ; G <sub>წლ</sub> = 128000 ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: K <sub>1</sub> = 0,04. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: K <sub>2</sub> = 0,02. ტენიანობა 10%-მდე (K <sub>5</sub> = 0,1). მასალის ზომები 50-10 მმ (K <sub>7</sub> = 0,5).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{წ} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

K<sub>1</sub> -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

K<sub>2</sub> - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

K<sub>3</sub> - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

K<sub>4</sub> - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

K<sub>5</sub> - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K<sub>7</sub> - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

K<sub>8</sub> - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას K<sub>8</sub> = 1;

K<sub>9</sub> - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვიტმცლელიდან.

B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

G<sub>წ</sub> -გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TOD} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{TOD}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც G<sub>TOD</sub> - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**კლინკერი**

$$M_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 22,4 \cdot 10^6 / 3600 = 0,0124444 \text{ გ/წმ}$$

$$M_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 2,3 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 22,4 \cdot 10^6 / 3600 = 0,0286222 \text{ გ/წმ}$$

$$II_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 128000 = 0,256 \text{ ტ/წელ.}$$

**ემისიის გაანგარიშება შენახვისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.5.3

**ცხრილი 5.5.3.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0401203	0.0000624

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{XP} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{pa6} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{nл} - F_{pa6}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_6$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$F_{pa6}$  - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ<sup>2</sup>

$F_{nл}$  - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ<sup>2</sup>;

$q$  - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$\eta$  - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტი  $K_6$  -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{max} / F_{nл}$$

სადაც,

$F_{max}$  - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, მ<sup>2</sup>;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b, \text{ გ/(მ}^2\text{*წმ)}$$

სადაც,

$a$  და  $b$  – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;  $U$  - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$II_{XP} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{nл} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_d - T_c) \text{ ტ/წელ.}$$

სადაც,

$T$  – იმასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

$T_x$  - წვიმიან დღეთა რიცხვი;

$T_c$  - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.5.4.

**ცხრილი 5.5.4**

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: კლინკერი ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	$a = 0,0135$ $b = 2,987$
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$
მასალის ტენიანობა 10%-მდე	$K_5 = 0,1$
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	$K_6 = 300 / 200 = 1,5$
მასალის ზომები - 10-50 მმ	$K_7 = 0,5$
ქარის საანგარიშო სიჩქარეები,მ/წმ	$U' = 0,5; 12,3$
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე,მ/წმ	$U = 0,5$
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ <sup>2</sup>	$F_{\text{раб}} = 0$
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{\text{пл}} = 200$
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{\text{макс}} = 300$
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	$T = 366$
წვიმიან დღეთა რიცხვი	$T_x = 97$
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	$T_c = 12$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**კლინკერი**

$q_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2.987} = 0,0000017 \text{ გ}/(\text{მ}^2 \cdot \text{წმ});$

$M_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 0 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0000017 \cdot (200 - 0) = 0,0000028 \text{ გ/წმ};$

$q_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 12,3^{2.987} = 0,0243153 \text{ გ}/(\text{მ}^2 \cdot \text{წმ});$

$M_{2902}^{12.3 \text{ მ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0243153 \cdot 0 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,0243153 \cdot (200 - 0) = 0,0401203 \text{ გ/წმ};$

$q_{2902} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2.987} = 0,0000017 \text{ გ}/(\text{მ}^2 \cdot \text{წმ});$

$\Pi_{2902} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 200 \cdot (366 - 97 - 12) = 0,0000624 \text{ ტ/წელ.}$

მავნე ნივთიერებათა		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ.	
კოდი	დასახელება			
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0286222	0.2560000	დაყრა
		0.0401203	0.0000624	შენახვა
		0.0687425	0.2560624	ჯამი

**5.6 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის (თაბაშირი) საწყობიდან (გ-6)**

8000 ტ/წელ. შემოდის ტერიტორიაზე ავტოთვიომცლელით და საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ გადახურულ საწყობში. ფრაქცია 300 მმ.

**ემისიის გაანგარიშება დაყრისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღიაა ოთხივე მხრიდან.( $K_4 = 1$ ). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0მ. ( $B = 0,5$ ) ზალპური ჩამოცლა ავტოთვიომცლელიდან ხორციელდება 10ტ და მეტი ოდენობით ( $K_9 = 0,1$ ). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ); 12,3 ( $K_3 = 2,3$ ). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.6.1.

**ცხრილი 5.6.1.**

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0007156	0.0064

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.6.2

**ცხრილი 5.6.2.**

მასალა	პარამეტრი
თაბაშირი	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_{\text{წ}} = 1,4 \text{ ტ/სთ}$ ; $G_{\text{წლ}} = 8000 \text{ ტ/წელ}$ . მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0,04$ . მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0,02$ . ტენიანობა 10%-მდე ( $K_5 = 0,1$ ). მასალის ზომები 500-100 მმ ( $K_7 = 0,2$ ).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{\text{TP}} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{წ}} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_1$  - მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

$K_2$  - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$K_8$  - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას  $K_8 = 1$ ;

$K_9$  - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოვლისას ავტოთვითმცლელიდან.

$B$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

$G_{\text{წ}}$  - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{\text{წლ}} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{წლ}}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $G_{\text{წლ}}$  - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**თაბაშირი**

$$M_{2902}^{0,5 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1,4 \cdot 10^6 / 3600 = 0,0003111 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902}^{12,3 \text{ მ/წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 2,3 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1,4 \cdot 10^6 / 3600 = 0,0007156 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 8000 = 0,0064 \text{ ტ/წელ}.$$

**ემისიის გაანგარიშება შენახვისას**

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8,9,10]

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.6.3

**ცხრილი 5.6.3.**

დამაზინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0145163	0.0000125

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{XP} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{pa6} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{nл} - F_{pa6}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე შემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$K_6$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

$K_7$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

$F_{pa6}$  - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ<sup>2</sup>

$F_{nл}$  - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ<sup>2</sup>;

$q$  - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$\eta$  - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტი  $K_6$  -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{max} / F_{nл}$$

სადაც,

$F_{max}$  - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, მ<sup>2</sup>;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: გ/(მ<sup>2</sup>\*წმ);

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b, \text{ გ/(მ}^2 \cdot \text{წმ);}$$

სადაც,

$a$  და  $b$  – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;  $U^b$  - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$I_{XP} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{nл} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_x - T_c) \text{ ტ/წელ;}$$

სადაც,

$T$  – იმასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

$T_x$  - წვიმიან დღეთა რიცხვი;

$T_c$  - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 5.6.4.

**ცხრილი 5.6.4**

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: თაბაშირი ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	$a = 0,0135$ $b = 2,987$
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$
მასალის ტენიანობა 10-მდე	$K_5 = 0,1$
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	$K_6 = 150 / 100 = 1,5$
მასალის ზომები – 500-100 მმ	$K_7 = 0,2$
ქარის საანგარიშო სიჩქარეები,მ/წმ	$U^b = 0,5; 12,3$
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე,მ/წმ	$U = 0,5$
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ <sup>2</sup>	$F_{pa6} = 10$

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{\text{пл}} = 100$
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ <sup>2</sup>	$F_{\text{макс}} = 150$
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	$T = 366$
წვიმიან დღეთა რიცხვი	$T_A = 97$
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	$T_c = 12$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

**თაბაშირი**

$q_{2902}^{0.5 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2.987} = 0,0000017 \text{ გ}/(\text{მ}^2 \cdot \text{წმ});$   
